ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.06.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 011/13

შეკითხვა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების მიმდინარეობისას ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს ეთიკის კომისიას მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს საჩივარში მითითებულ გარემოებებს.“

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ მე-17 მუხლის პირველი ნაწილი: „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“
„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი: „თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები.“

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ორივე მხარემ ეთიკის კომისიას უნდა წარუდგინოს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები საქმეში არსებული გარემოებების დასადასტურებლად. შესაბამისად, მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი თანაბრად ნაწილდება.

დასკვნა:

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოებისას მხარეებს შეუძლიათ ეთიკის კომისიას წარუდგინონ მტკიცებულებები.

შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე ორივე მხარეს შორის მტკიცების ტვირთი ნაწილდება თანაბრად.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.